ცვლილება ბრძანებაში

შინაარსი

- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილება
- ელექტროენერგიით ვაჭრობის საქმიანობის დაბეგვრა და ანგარიშგება
- დოკუმენტის საჯაროდ გავრცელება

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილება

2024 წლის 20 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №274, რომლითაც ცვლილება შევიდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში, კერძოდ:

- ცვლილება შევიდა ბრძანებით დამტკიცებულ „საბაჟო კონტროლის შესახებ“ N2 დანართში. აღნიშნულ დანართში დამატებით განისაზღვრა, რომ თუ დადგინდა, რომ შემცირებულია დეკლარირებული საქონლის რაოდენობა ან/და ღირებულება ან/და საბაჟო ღირებულება ან/და სახეობათა რაოდენობა ან/და გადასახდელის თანხის ოდენობა, ვალდებულ პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა დამატებით დარიცხული გადასახადის ან/და საბაჟო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის თანხებზე.

- ცვლილება ასევე შევიდა ბრძანებით დამტკიცებულ „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ N8 დანართში. ცვლილებამდე არსებული რედაქციით, იმისათვის, რომ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც 6 თვეზე მეტი ხნით იმყოფებოდა უცხოეთში, ესარგებლა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათით და 15,000 ლარის ღირებულების პირადი მოხმარების საქონლის იმპორტი გაეთავისუფლებინა იმპორტის გადასახადისგან, საქონელი უნდა შემოტანილიყო საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პირის შემოსვლიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში და საბაჟო დეკლარაცია წარედგინა საბაჟო პროცედურის განსაზღვრისათვის გათვალისწინებულ ვადებში. ცვლილების შემდეგ აღნიშნულ ვალდებულებებს დაემატა ის პირობაც, რომ პირმა საბაჟო გამშვებ პუნქტში შევსებულ „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში“ უნდა განაცხადოს ინფორმაცია მის მიერ მომდევნო 90 დღის ვადაში შემოსატან საქონელზე (რომელიც მასთან ერთად არ გადაადგილდება).

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 27 აგვისტოდან.

ელექტროენერგიით ვაჭრობის საქმიანობის დაბეგვრა და ანგარიშგება

2024 წლის 9 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №269, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციას დაემატა ახალი კარი VII[6] დასახელებით - „ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე (ბირჟაზე) ელექტროენერგიით ვაჭრობის და მასთან დაკავშირებული საქმიანობის გადასახადებით დაბეგვრა და საგადასახადო ანგარიშგება”. ახალ კარში განისაზღვრა ელექტროენერგიის ბირჟაზე ელექტროენერგიით ვაჭრობის ფარგლებში საგადასახადო ვალდებულებების შესრულების, სააღრიცხვო დოკუმენტაციის/პირველადი საგადასახადო დოკუმენტების წარმოების, დადებული გარიგებების დაბეგვრისა და მათ მიმართ სსკ-ის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ჩ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის (დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლება) გამოყენების წესები.

განხორციელებული ცვლილებით განისაზღვრა, რომ ბირჟის ოპერატორი წარმოადგენს ელექტროენერგიის მიწოდების სამეურნეო ოპერაციის მხარეს, შესაბამისად, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის სხვა სუბიექტის მიერ ელექტროენერგიის

გაყიდვისას იგი განიხილება ელექტროენერგიის შემსყიდველ პირად, ხოლო ამავე ბირჟაზე სხვა სუბიექტის მიერ ელექტროენერგიის ყიდვისას - ელექტროენერგიის გამყიდველ პირად (მიმწოდებელი).

იქიდან გამომდინარე, რომ ბირჟის ოპერატორის მიერ ელექტროენერგიის შეძენა არ ხდება საკუთარი მოხმარების მიზნით და ოპერატორი არ წარმოადგენს საბოლოო მომხმარებელს, ბაზრის სუბიექტის მიერ მისთვის ელექტროენერგიის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ჩ“ ქვეპუნქტის თანახმად. თავის მხრივ ოპერატორის მიერ ელექტროენერგიის მიწოდება ბაზრის იმ სუბიექტისთვის, რომელიც ელექტროენერგიას შეიძენს საკუთარი მოხმარების მიზნით, ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას, ხოლო სხვა მიზნით განხორციელებულ შესყიდვაზე ასევე გავრცელდება აღნიშნული შეღავათი. მოცემულ შემთხვევებში შესყიდვის მიზანს ადასტურებს შემსყიდველი პირის სტატუსი, თუ როგორ არის რეგისტრირებული ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე.

აღნიშნული ცვლილება ამოქმედდა 2024 წლის 9 აგვისტოდან და მისი მოქმედება ვრცელდება 2024 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დოკუმენტის საჯაროდ გავრცელება

2024 წლის 6 აგვისტოს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №267, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად:

- მე-14 მუხლს, რომელიც არეგულირებს დოკუმენტების საჯაროდ გავრცელებასთან დაკავშირებულ წესებს, დაემატა ახალი მე-8 და მე-9 პუნქტები, რომელთა მიხედვითაც საგადასახადო/საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, სამსახურის ან/და სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირის მიმართ გამოცემული დოკუმენტი, განთავსებიდან 20 დღის გასვლის შემდგომ წაშალოს შესაბამისი ვებგვერდიდან, მას შემდეგ, რაც მიიღებს გადასახადის გადამხდელისგან წერილობით განცხადებას დოკუმენტის გაცნობის შესახებ.

- ცვლილება ასევე შეეხო საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ელექტრონული ფორმით გაგზავნის და საჯაროდ გავრცელების წესის განმსაზღვრელ 15[1] მუხლს და შედეგად აღნიშნულ მუხლს დაემატა მე-7 და მე-8 ახალი ქვეპუნქტები. ახალი პუნქტების მიხედვით, ზემოთ მოცემული ცვლილების მსგავსად, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული შემოსავლების სამსახურისა და დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება განთავსებიდან 20 დღის გასვლის შემდგომ წაშალოს ვებგვერდიდან, თუ მომჩივანი ფიზიკური პირია, რომელიც წერილობითი განცხადებით ადასტურებს საჯაროდ გავრცელებული გადაწყვეტილების გაცნობას.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 7 აგვისტოდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილების, ელექტროენერგიით ვაჭრობისა და დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების თემებს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

- ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.